# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე".

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 48 ნიუ-იორკი. აპრილი, 1962 წ. **GEORGIAN OPINION** NEW YORK, APRIL 1962


საბჭოთა კავშირის შინაგან ვითარების სპე სპეციალისტები, რომლებსაც კრემლინოლოგები შეარქვეს, ხშირ-ხშირად აგონებენ თავის-თავს საზოგადოებას და ზოგმა მათგანმა მკითხველის ნდობაც დაიმსახურა და დიდი ყურადღებით ეკიდება მათ ცნობას.

ამ მოვლენაში სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ვერც ერთმა კრემლინოლოგმა საბჭოეთში გათამაშებული ვერც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ვერ გაითვალისწინა და მათ მიერ გაბრუებული საზოგადოება ყველაფერს პირდაღებული შეხვდა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ რუსეთში ხელისუფლებისთვის წარმოებულ ბრძოლა კრემლინოლოგებმა დასავლეთურ ყაიდაზე წარმოიდგინეს და თავისი გულის ნადები—უკეთ ვსთქვად—კეთილი სურვილები, საზოგადოებას აღსრულებულ ფაქტად მიართვეს. მოვლენათა განვითარებამ კი დაამტკიცა, რომ ე. წ. კრემლინოლოგებს იმდენივე სცოდნიათ საბჭოთა კავშირის შინაგანი ვითარების, რამდენიც ყოველ მეთვალყურეს შეუძლიან იცოდეს, ყოვლდღიური გაზეთების ცნობათა მიხედვით.

მაგ. როდესაც ისინი ბჭობდნენ, თუ „გალიბერალებულ" კომუნისტურ მეთაურებში სტალინის უახლოეს პირთაგან ვინ რა როლს ითამაშებდა და სტალინის მარჯვენა ხელი სისხლის მსმელი ბერიაც ჰყავდათ „პირველკაცობაში" ნავარაუდევი. სრულიად მოულოდნელად გამოირკვა, რომ ის ამ ქვეყნად აღარ იყო როდესაც კრემლინოლოგები დასავლეთის საზოგადოებრივ აზრს აჯერებდნენ, რომ მალენკოვის „მეტი კარაქი და ნაკლები ზარბაზანი" მიიზიდავს საბჭოთა მოქალაქის ყურადღებას და ის შეიქმნება საბჭოეთის მფლობელი და მპყრობელიო, გამოირკვა, რომ ამ დროს მალენკოვი „ანტიპარტიულად" იქმნა გამოცხადებული და არამც თუ ხელმძღვანელობიდან, არამედ საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივი ცხოვრებიდან სრულიად იქმნა გაძევებული.

როდესაც კრემლინოლოგებმა დასავლეთი დაარწმუნეს, რომ ჟუკოვია რუსეთის ამომავალი მზე, სწორედ მაშინ აღმოჩნდა ჟუკოვის მზე დაბნელებული....

სამწუხარო და სავალალო გამოდგა კრემლინოლოგების პოლიტიკური ალღო და ყნოსვა და ამის ერთად-ერთი მიზეზი, ჩვენის ღრმა რწმენით ის არის, რომ დასავლეთი რუსეთის დასავლეთური ადლით ზომავს და აქედან აკეთებს ლოღიკურ დასკვნებს. ჩვენ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ შემცდარი იქნება ყოველი კრემლინოლოგი იქამდე, ვიდრე რუსეთის შინა ვითარების განსჯის დროს არ განიტვირთება მოვლენათა დასავლეთური გაგებისაგან და არ ჩაიკეტება იმ აღმოსავლურ დესპოტურ ატმოსფეროში, რომელშიც რუსეთი ჩაისახა და წარმოიშვა.

ამ ჟამათაც ბევრს ლაპარაკობენ იმ შინაგან წინააღმდეგობაზე, რომლის გადალახვაც, თითქოს ხრუშჩოვს სჭირდება თავის საგარეო პოლიტიკაში.

სინამდვილე კი გვაჩნენებს, რომ ხრუშჩოვმა მოსპო რა „შინაგანი ოპოზიცია"—პირველკაცობის სავარაუდო კონკურენტები, გაანადგურა „სტალინის კულტი" და დაიმკვიდრა, როგორც პირველი მინისტრობა, ისე პარტიის გენერალური მდივნობა—მას შემდეგ მისი ლექსიკონიდან ამოვარდა „კოლექტიური მმართველობა". ის იშვიათად უწევს თავის კოლეგებს ანგარიშს და იშვიათად თუ მათ რამეს ეკითხება. ყოველშემთხვევაში 1957 წლიდან არც ერთი შემთხვევა არა ყოფილა, რომ ან პარტიულსა და ან სახელმწიფო ორგანოს ნიკიტას მოქმედებისათვის კრიტიკულად შეეხედოს, დღევანდელი პარტიული კონგრესები არაფრით განსხვავდება სტალინის დროინდელი **კონგრესებისგან. უწინაც და დღესაც „დელეგატების ერთად-ერთი უფლებაა" მიიღონ, მოიწონონ და „ოვაციებში გადასულ ტაშით" დაადასტურონ" მოსკოვის ახალი დიქტატორის გეგმები და თეორიები.**

**ცნობილია, რომ სტალინი ენდობოდა მხოლოდ თავის-თავს, თავის პოლიტიკურ ალლ-**

ნიუ-იორკი. აპრილი 1962 წ.

**ოს და თავის ინტუიციას და ქვეყანას განაგებდა აღმოსავლურ-ბარბაროსული დესპოტიზმით. მახლობლების აზრს ისიც ისმენდა, მაგ**რამ მხოლოდ ინფორმაციისათვის და გარდა**წყვეტილებას ის საკუთარი გუნებ-განწყობილებით ღებულობდა.**

სტალინის სიკვდილის შემდეგ, როდესაც რუსეთში „კოლექტიური მმართველობის" პრინციპი დამყარდა, ნიკიტა იძულებული იყო ანგარიში გაეწია კოლეგებისათვის, რადგან მალენკოვი, მოლოტოვი, ბერია, კაგანოვიჩი და სხ. პარტიულ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობით ნიკიტაზე მაღლა იდგნენ და ისიც იძულებული იყო უნებისყოფო ბულგანინთან გატყუპებული ევლო „ალილოზე". მაგრამ ნიკიტამ—სტალინური წესით, მალენკოვ-მოლოტოვ-კაგანოვიჩებთან კოალიციით ჯერ ბერია დაალრჩო, ეს უკანასკნელები კი ჟუკოვის დახმარებით მოსპო, ხოლო მარტო დარჩენილ ჟუკოვს თითონ მოუგრიხა კისერი. ამის შემდეგ ნიკიტა და მხოლოდ ნიკიტა შეიქმნა მთელი რუსული იმპერიის მფლობელ-მპყრობელი. ნიკიტა ღებულობს ყოველგვარ გარდაწყვეტილებას და პარტიული თუ სახელმწიფო მოხელეების როლი მხოლოდ აღმასრულებელია.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ დღესაც არიან ხრუშჩოვის მომხრენი და მოწინააღმდეგენი, როგორც სტალინის დროს იყვნენ. არც იმაში გვეპარება ეჭვი, რომ თუ ვინმემ ხრუშჩოვის ბრწყინვალე ბელადობაში და შეუმცდარობაში ეჭვი შეიტანა და ეს ნიკიტამ შეუტყო, ასეთი ურჩი და თავხედი ისევე მკაცრად დაისჯება, როგორც სტალინის დროს ისჯებოდა „პარტიისა და ხალხის" ყოველი მოღალატე.

დასავლეთელი კრემლინოლოგები ხშირათ ინუგეშებენ თავს, თითქოს რუსეთი დემოკრატიზმისაკენ მიდის. ჩვენის ღრმა რწმნით ესეც მათი კეთილი სურვილია და არა რაიმე ფაქტიდან გამომდინარე დასკვნა. თვით ნიკიტას „გალიბერალების და გადემოკრატების" არც ერთი მაგალითი არ მოუცია. ის ან უკვე მომხდარ ფაქტებს ამტკიცებინებს დელეგატებს, ან ოც წლიან გეგმებით ართობინებს მათ თავს.

შემდეგი მომენტი, რომელსაც კრემლინოლოგები ხაზგასმით აღნიშნავენ, არის ერთის მხრივ საბჭოთა სამხედრო კასტის დაწოლა და მეორე მხრივ ჩინეთის ულტრა კომუნისტური ფანატიზმი, რომელიც კონფლიქტშია ნიკიტას „მშვიდობიან თანაარსებობის" პრინციპთან. აქედან ასკვნიან, თითქოს ნიკიტა იძულებულია „საბჭოთა კავშირში არსებულ სხვადასხვა მიმართულებებს" ანგარიში გაუწიოს და ამიტომ ლიბერალი ხრუშჩოვი იძულებულია დასავლეთი ხანდისხან მოულოდნელობის წინაშე დააყენოსო. პოლიტიკურ ალღო ნაკლულმა „საბჭოთა კავშირის შინა ვითარების სპეციალისტებმა იმდენი ილაპარაკეს, რომ პარტიულ ინტრიგებში გაწვრთნილმა დონბასელმა მუშამ შეიგნო, რომ დასავლეთთან ამ ნოტებზე შეიძლება თამაში და თამაშობს კიდეც. ცხადია, ხრუშჩოვისათვის სარფაა დასავლეთთან დემოკრატიულობა ითამაშოს, ხოლო რუსეთში და საბჭოთა ბლოკში არსებულ „სხვადასხვა მიმართულებების" დასაკმაყოფილებლად დასავლეთს მოსთხოვს თავის პრინციპებზე ხელის აღება.

ეგევე სპეციალისტები ამტკიცებენ 1962 წ. რუსეთი განსხვავდება წინა დროის რუსეთისაგან და მოსალოდნელია მრავალნაირი მოულოდნელობაო. დასავლეთელი მეთვალყურეები ამას უწოდებენ „რაღაც მისტერიულსა და ამოუცნობს". ამავე დროს ამტკიცებენ: ხრუშჩოვს მთელი რუსული ახალთაობა მხარს უჭერსო.

ჩვენის აზრით აქ მისტერიული და ამოუცნობი არა არის რა. რუსული ტრადიციული პოლიტიკა იმპერიალისტური იყო და დარჩა. ხოლო ეს აშკარად გამოვლინდა მას შემდეგ, რაც სტალინმა განაცხადა: ომი მოიგო რუსის დიდმა ერმაო. აქედან დაიწყო რუსული შოვინისტურ-იმპერიალიზმის აღმავლობა. ეს არის ნიადაგი, რომელზედაც ერთიანდება არა მარტო რუსეთის ახალთაობა, არამედ მთელი რუსეთი—შინ და გარეთ, და ამაში ხედავს ყოველი რუსი თავის საკუთარ „ეროვნულ მისწრაფებებს".

საბჭოთა ბლოკში არსებული სხვაობა და მათი „იდეოლოგიური უთანხმოებაც", რაც განსაკუთრებული სიცხადით ოცდამეორე კონგრესზე გამომჟღავნდა, უფრო ეროვნული ხასიათისაა, ვიდრე პოლიტიკურის. ხრუშჩოვის მარქსისტ-ლენინური პოზიცია და დესტალინიზაცია რუსული შოვინისტურ-იმპერიალისტური პოლიტიკის ნიღაბია, რომელსაც კარგათ გრძნობენ არა რუსი ერები და რუსეთის ცენტრალისტურ დენას ეწინააღმდეგებიან. ხრუშჩოვის მიერ ალბანიის სტალინელებათ გამოცხადება, მათი შინაგანი ბრძოლის ტერმინოლოგიაა. სინამდვილეში ალბანიაში ხდება ეროვნული მეობის გამომჟღავნება და ის თავის ეროვნული პიროვნების გადასარჩენად იბრძვის. მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი 1948 წელში, როდესაც ტიტო ჩაიკეტა ეროვნული კომუნიზმის ჩარჩოებში და რუსული იმპერიალიზმის უღელში არ შეება. ამავე მოტივით აიხსნება რუსულ-ჩინური იდუმალი წინააღმდეგობა, რომელსაც მიამიტი დასავლეთელი იდეოლოგიური მიზეზებით ხსნის. სინამდვილეში იუგოსლავიაც, ჩინეთიც და ალბანიაც მარქსისტულ-კომუნისტური ქვეყნებია. მაგრამ, როგორც თავის დროზე ქართული კომუნიზმის ლიდერები მოითხოვდნენ—დღეს ეს ქვეყნებიც მოითხოვენ რუსეთთან მეგობრულ თანამშრომლობას და უარყოფენ მასთან ბატონყმურ დამოკიდებულებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ პროცესის გათვალისწინება მეტად ადვილია, თუ კრემლინოლოგები თვალს გადაავლებენ რუსეთის ისტორიას და გაითვალისწინებენ თუ რა პირობებში მოხდა რუსული იმპერიალიზმის კომუნიზმთან შეუღლება. მაშინ ადვილი ასახსნელი იქნება თუ ხრუშჩოვს, მთელ რუსულ ახალთაობასთან ერთად, რატომ ამხნევებს კომუნიზმისაგან ჩაგრული რუსული ემიგრაციაც.

## ნაცვლად გვირგვინისა...

კიდევ ერთი კარგი მამულიშვილი მოგვაკლდა. ჭეშმარიტად მამაცი და გაუტეხელი.... პირდაპირი და ჯიქური ბრძოლაში და მხნე და იმედიანი დამარცხების შემდეგაც.

ახოვანი, მოქნილი დიდრონი ლურჯი თვალებით, ფაფარად აყრილ ხშირ თმებით, მუდამ თავაზიანი და მომღიმარი და თან ყოველ შეტევისას შეუპოვარი და დაუნდობელი.

ჭეშმარიტად დავით ვაჩნაძეს ჭარბად აეთვისებია მისი ჩინებული გვარის ძველი, ქართული თვისებანი...

როცა ჩასაფრებულ რაზმებში ასეთებიც გერევა, გული იმდიანად გაქვს: იცი საგუშაგოს არ დასტოვებს და დროშას სიკვდილამდე არ მოეშვება.

და აკი ბოლომდე საქართველოსთან დარჩა, მისი მკვდრეთით აღმდგარ 26 მაისის დროშასთან.

მე ის სასწაულებრივ აღდგომის დღეებიდან მახსოვს და უფრო ადრეც, მაგრამ ბრინჯაოს უტეხი სახე დათა ვაჩნაძისა, უფრო 26 მაისის შემდეგ ჩამებეჭდა.

ჩვენ იქიდანვე სხვა და სხვა „მიმართულებას" ვეკუთვნოდით, ერთმანეთს ხშირად დაუნდობლად ვუტევდით და „ვანადგურებდით" ურთი-ერთს. მაგრამ გულის სიღრმეში ვგრძნობდით, რომ ორთავენი ერთ „ღმერთს" ვემსახურებოდით და პატივისცემა ურთი-ერთისა და სიყვარულიც „გადანახული" მოგვყვებოდა. ბოლოს დრომ და მარცხმა აშკარად დაგვანახვა, რომ „მიმართულებაც" ერთი იყო ერთს დასტრიალებდა და ის ერთი იყო მისი მრწამსი და სიყვარული. ეს ერთი იყო ჩვენი 26 მაისი და მისმა დაკარგვამ ყველას ახალი „მხედველობა" აგვიცრა. ღრმად განვიცადეთ, რომ ჩვენი „სხვა და სხვა გზით" სვლა თავიდანვე ერთი მიზნისაკენ იყო მიმართული, ერთის მნათობით გასხივოსნებული. მითომ ცალცალკე, მაგრამ მუდამ ერთად ვიდოდით. და როდესაც საქართველოს პირველ, თავისუფალ პარლამენტში შევედით, იქ ჩვენი ადგილები, სავარძლები ცალ-ცალკედ განკუთვნილ ადგილებზე დაგვხვდა გამწკრივებული... ვისხედით ჯგუფურად და ტრიბუნიდან ხშირად მწარე სიტყვებს ვესროდით ურთი-ერთს. ასევე ცალკეულ ვირაზმებოდით საზოგადოებაში, პრესაში... მაგრამ მარად ამ ერთ, მაღალ ტრიბუნის, ჩვენი დამოუკიდებლობის სიმბოლოს ირგვლივ ვიყრიდით თავს და მისთვის უკეთესის სამსახურისათვისს ვუტევდით ერთმანეთს.... ეს იყო ცილობა, ასპარეზობა გაათრთებული, მაგრამ კეთილშობილი. და ეს იყო იქ, ბედნიერ წლებში, ჩვენი ეროვნული ზეიმის ხანაში, როცა სხვაობა, წოდება, კლასი გაჰქრა და ქართველობა იშვა. და შემდგომ, ოდეს ის მტერმა ვერაგულად და მოპარვით წარგვტაცა, მაშინ ხომ „სხვა და სხვა მიმართულებაც" ერთბაშად გაჰქრა და „მიმართულება" ჩვენის მახვილისა მტრის მკერდს დაებჯინა, ხოლო ზიზღი და შეჩვენება გამცემ, მოღალატე „ქართველისაკენ"...

მას აქედ ბრძოლა არ შეწყვეტილა. შეიძლება აქა-იქ ის შენელდა, სახე იცვალა, მაგრამ არსებითად ის უცვლელი დარჩა. და დღესაც ყველა „ჯგუფები" 26 მაისის დროშასთან ვდგევართ, მას ვიცავთ, მისთვის ვკვდებით—ზოგნი ადრე, ზოგნიც უფრო გვიან...მაგრამ ეს „გვიან" მკვდარნიც ჩვენთვის „ნაადრევად" წასულათ რჩებიან.

საქართველოს მოწამეთა გზაზე უკვე მრავალნი დაეცნენ ამ 40 წელთა გასწვრივ. მაგრამ ეს „გზა" ხომ „ქართლის ცხოვრების" ძველ გზის გაგრძელებაა, ამიტომ ის ბრწყინვალებაა და უკვდავება.

და ძველი, ერთგული გვარდიის ორდენოსნები ამ გზით თეთრ თალებ ქვშ, დინჯათ და ამაყად მიაბიჯებენ... და დღეს მათ სულ უკან მიჰყვება დათა ვაჩნაძე, კიდევ უფრო უკან სხვანი, ჩვენც გავყვებით; მაგრამ ჩვენ იმ „იქეთა მხარის" არც გვრცხვენია და არც გვეშინია... იქ ხომ საქართველოს ძველ მხედრებთან, 26 მაისის მხედრობაც დაგვხვდება, თეთრი გიორგის ხატებით და ეროვნულის დროშებით

„შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა" მეც ამ „მოწამეთობის" ხანისა და თაობის მომსწრე, უკეთ დამსწრე და ერთგვარი მემატიანეც გავმხდარვარ. სულ მცირე, მაგრამ მაინც მემატიანე. და მეცა მაქვს, მარად წინ მიდევს ჩვენი მარტვილთა და მოწამეთა სიის წიგნაკი თვისი მისამართებით.

ამ კარგ წიგნაკს კარგი ჩვეულებაც დავაკურთხე: მინდა ყოველ ახალ წელს, მათ ყველას გადავძახო, ხმა და იმედი მივაწვდინო ჩვენი მოწამეთობის და გამძლეობის შემდეგი წლის დასაწყისზე. ბევრისაგან გამოხმაურებას ვიღებ, რაც ემიგრაციის მატიანეს თავის ფერადობას და სურნელებას უნახავს.

ამ მისამართების წიგნაკის ამბავი ამიტომ მოვიყვანე, რომ მინდა სხვებსაც გავაცნო დათა ვაჩნაძეს პროფილი მის პასუხში. წინა წლების „მოლოცვა-პასუხებს" აღარ მოვიყვან, წელს კი 2 იანვრის თარიღით დათა ძველებურათ გამართულის, სუფთა ხელით სხვათა შორის მწერდა:... „მადლობა ღმერთს—თქვენ ორივენი (ე. ი. მე და თამარ) და მეც, თქვენი მონა მორჩილი ცოცხლები ვუხვდებით ჩემის აზრით ამ გარდამწყვეტ 1962 ახალ წელს. მინდოდა ვრცლად მომეწერა საბუთები ჩემი ასეთი ოპტიმისტური შეხედულებისა, შესახებ სახვალიო კარგი ამბებისა, მაგრამ ცოტა ხნით გადავდე, რადგან მოველი უფრო დაწვრილებითი ცნობებს... მივიღებ და გაცნობებთ... თქვენ და თამარ იმედია განაგრძობთ წერას ისტორიულ ამბებისას... არ დაჰყაროთ იარაღი... და სხვა".

რამდენი იმედი და მისთვის ჩვეული უტეხი ოპტიმიზმი მოსჩანს ამ მცირე მომართვა-მოლოცვაში... და ის ბოლომდე „მოელოდა" იმ „დაწვრილებით" ცნობებს „სახვალიო კარგ ამბების შესახებ" ამ წელსაც, ვით გასულ 40 წელთა მანძილზე; და კიდევ 40 წელიც რომ ეცადა, ასეთივე ხალისით და იმედით შეხვდებოდა ყოველ ახალ წელს... და ასეთი მხედარი და კაცი არ კვდება, ის გამართული ეცემა ჩვენი „მოწამეთობის" გზაზედ.

და ჩემი მისამართების წიგნაკში დღეს მე

## დათა ვაჩნაძე.

**(1883—1962)**

„1832 წლის შეთქმულების შემდეგ ჩვენი საზოგადოებრივი თუ პიროვნული თვითშეგნება რადიკალურად შეიცვალა. ერთი რიგი მეშჩანურ მშვიდობიანობას გადაჰყვა, შექცევით ბუქნაობდა სიამოვნების საქანელაზე და ცდილობდა დაევიწყებინა პოლიტისური თუ ზნეობრივი წარსული. ამ გზის გამყოლნი ვულკანზე ნადიმობდნენ და ეთამაშებოდნენ იმ ცეცხლს, რომლიც მათ შთანთქმით ემუქრებოდა. ესენი მეტ წილად არისტოკრატები იყვნენ. მათ დარბაზებში ეროვნულმა იდეამ მიიძინა და აჯანყების სული, რომელიც პირველ ხანებში მგმინავ ლომივით ევლებოდა საქართველოს—მოშინაურდა. უფრო მეტი: გაბატონებულ ტონს შეეწყო და თავის ლამაზ წარსულს იგონებდა, როგორც სასაცილო კურიოზს. ერთი სიტყვით გადაგვარების პროცესი დაიწყო“

აი ის სულიერ ფსიქოლოგიური განწყობილება, რომელიც მძლავრი გაბრძოლების შემდეგ საქართველოში დამყარდა. ამას ხელოვნურად და მრავალნაირი დაწოლით ანვითარებდა და აღრმავებდა რუსული იმპერიალიზმი. ამ მოვლენას ნათლად ამჟღავნებს თითქოს ღარიბ თავად-აზნაურობის დასახმარებლად რუსების მიერ შემოღებული კანონი: ყოველწლიურად 80 ქართველი ბავშვის სახელმწიფო ხარჯზე აღზრდა. ჩვენი სასიქადულო მწერალი დ. კლდიაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს: რვა წლის ვიყავი რუსეთში რომ წამიყვანეს. კანონის თანახმად მხოლოდ სამი წლის შემდეგ მქონდა უფლება საზაფხულო შვებულება საქართველოში მშობლებთან გამეტარებინა. ხოლო სამი წლის შემდეგ ისეთი მდგომარობა შეიქმნა, რომ იძულებული ვიყავი დედაჩემთან თარჯიმნით მელაპარაკნაო.

ამგვარად, რუსეთის „მფარველობითი და ჰუმანური“ პოლიტიკის მიზანი საქართველოს სრული მოსპობა-გადაგვარება იყო. ყოველწლიურად საქართველოს 80 ბავშვი ეკარგებოდა. ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ „ოქროს ღილებიან სერთუკების“ მიმზიდველობას, მაშინ ნათელი გახდება თუ სამიათეული წლის განმავლობაში რა ჯადოსნურმა ძალამ განძარცვა საქართველო, რომელმაც ილიას მწუხრად დააძახა: სად არის ქართველი და საქართველოო.

დათა ვაჩნაძე სწორედ მაშინ დაიბადა, როცა ილიას და მისი სახელოვანი დასის წყალობით ქართველი ერი თვალს იფშვნეტდა, ძილბურანიდან გამოდიოდა და თავის ეროვნული პიროვნების ძებნას იწყებდა.

თანახმად გაბატონებული წესისა დათაც „კადეტთა კორპუსში“ მიაბარეს. მისი დამთავრების შემდეგ კი „ნიკოლოზის სახელობის სამხედრო საინჟინერო სასწავლებელში“ ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელ ვაჩნაძესათვის რუსის სამსახურში ბრწყინვალე კარიერის კარი გახსნილი იყო.. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მისი ფიქრები სულ სხვა მხრივ მიილტვოდნენ. იქნება ეს ერთი მხრივ ილიას და მისი დასის გავლენით იყო, მეორე მხრივ კი მასში ალაპარაკდა თავის წინაპრების სისხლი, როცა ერეთის ქორეპისკოპოზების ქურაში იჭედებოდა საქართველოს მარადიულობისა და უკვდავების იდეა. სჩანს დათას უხვად აღმოაჩნდა თავის წინაპრების ქართული განცდები, რომ რუსულ ერთგულებაში ბრწყინვალე კარიერას, საქართველოს ეროვნული იდეის ეკლიანი გზა არჩია. ამის შედეგი იყო, რუს ბატონების გულის წყრომა და დათას სამხედრო უწყებიდან გაძევება.

ამგვარად, დათა ვაჩნაძე საბოლოოდ გაემიჯნა იმ საზოგადოებას, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობდა „სიამოვნების საქანელაზე ბუქნაობას“ და ის ეროვნულ-ტრადიციას დაუბრუნდა.

დათა ვაჩნაძე... საკმარისია ამ ორი სიტყვის წარმოთქმა, რათა თვალწინ აგესახოთ მთელი ეპოქა... მამულისათვის მიძღვნილობის, სამშობლოს მარადიულობისათვის თავგანწირვის მაღალი მაგალითების და დამარცხება გამარჯვევებით ღსავსე ეპოქა.

როდესაც ქართველი ნიჰილისტების და [illegible] სული იმპერიალიზმის მიზნების დამთხვევამ ქართულ ეროვნულ ნამუს წიწამურზე გული გაუპო, ამ დროს დათა სრლიად დასრულებული ვაჟკაცი იყო. შეუძლებელია ამ მოვლენას მისი ტემპერამენტისა და მისი შინაგანი განცდების ადამიანისათვის ღრმა კვალი არ დაემჩნია და ასეც მოხდა. დათა მთელი თავისი ენერგიით და შესაძლებლობით ჩაება „ჩვენი ვინაობის“ ალსადგენ ბრძოლაში.

ამ პერიოდში ხდება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში და პროვინციაში „ილიას მემკვიდრეობის“ შემნახველი და გამაგრძელებელი ჯგუფების დაარსება. დათა ერთი პირველთაგანი იყო თბილისში, რომელმაც ხმამაღლა განიმეორა: ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთნოდესო. და როგორც პრესაში, ისე ფარული თუ ახდილი მუშაობით ამას მიეძღვნა.

რუსეთის იმპერიის კვირაძალზე მოხდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსება. რომელიც ითავა ევროპიდან ახლად დაბრუნებულმა სპირიდონ კედიამ. დათა აქაც პირველთაგანი იყო, რომელმაც თავისი ენერგია და გამოცდილება მიიტანა.

ამ დროს ქართული ასპარეზი ორ პოლიტიკურ პარტიას უკვე დაპყრობილი ჰქონდა. ახალის, მესამის წარმომშობებს მაღალ იდეალიზმთან ერთად არაჩვეულებრივი ნიჭი და მოქმედების უნარი უნდა გამოეჩინათ, რათა საქართველოს უკვე დაუფლებულ ორი პარტიისათვის მოქმედების ასპარეზი წაერთმიათ და ქართულ ნიადაგზე ფეხი მოედგათ.

ამ პარტიის გონიერი და ზომიერი მოქმედების წყალობით რუსეთის იმპერიის დანგრევის პირველსავე ხანებში იგი საგრძნობ ეროვნულ ძალად იქცა.

დათა ვაჩნაძე მაღალი ენტუზიაზმით იღვწვის, რათა რუსული იმპერიის ნანგრევებზე თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო დაშენებულიყო. აღსრულდა... ის მოწმე და მონაწილ გახდა ერეთში ნაზარდი იდეის გამარჯვების, რომელსაც დათას წინაპრები თავდაუზოგველად ეწირებოდნენ.

1918 წლის მაისის 26-ს საქართველომ მთელ კაცობრიობას აცნობა, რომ ის სამიათას წლოვან ისტორიას გადაება და თავის ეროვნულ ტრადიციას დაუბრუნდა. ამ მოვლენაში დათა ვაჩნაძეს როლი და დამსახურება თანაბარია იმდროინდელ მოღვაწეთა შორის. ის თავისებური ენტუზიაზმით, დაუშრეტელი ენერგიით და გაუტეხელი ნებისყოფით იბრძოდა და იღვწოდა ქართული ეროვნული ძირების გასამაგრებლად.

მაგრამ მოკლე ვადიანი გამოდგა ქართველი ერის ზეიმი. 1921 წლის თებერვალში რუსეთი კვლავ შემოგვეპარა და კვლავ წარგვტაცა სამშობლო. „თებერვალმა დაგვიზამთრა მაისი“ და საქართველოსაც გლოვის სუდარა გადაეფარა.

ბათუმში მარტის შუა რიცხვებში ქართული პოლიტიკური პარტიები უკანასკნელად შეიკრიფნენ თავისუფალ საქართველოს მიწაზე მომავალი მოქმედების გეზის ასაღებად და ახალი ტაქტიკის დასამუშავებლად. პარტიის ლიდერები, მთავრობა და დამფუძნებელი კრების მეთაურები უცხოეთში იხიზნებიან „ბრძოლის გასაგრძელებლად“. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი ღებულობს თავისი ლიდერის—სპ. კედიას წინადადებას: პარტია დარჩეს საქართველოში, რათა გაიზიაროს ქართველი ერის ჭირი და ვარამიო.

(ბ-ნი ვ. ჩუბინიძე თავის მოგონების მეორე წიგნში აღნიშნავს, თითქოს სოც. დემ. ლიდერები გაკვირვებული კითხულობდნენ: რა უნდა სპ. კედიას მეტი, ორ ადგილს ვთავაზობთ მთავრობაში და უარს ამბობსო.

მართლაც ძნელი იყო იმ გარემოებაში ამ „თვალწარმტაცი“ წინადადების უარყოფის ამოცნობა. უფრო ძნელი კი ახლად მოვლინებული და ეროვნულ პოზიციებს უკვე დაუფლებული პიროვნების განცდების შემცნება. დროთა ვითარებაშიც იშვიათად თუ ვინმე ჩასწვდა ამ სამშობლოს გრძნობების უძირო ორმოს და მრავალთათვის ამოუცნობი განშორდა ამ ქვეყნიურობას).

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ბათუმშივე გადასწყვიტა პარტიზანული ბრძოლების დაწყების აუცილებლობა და აქვე დაინიშნა ამ მაღალი მაგალითის მიმცემი მოძრაობის მეთაური—შთამომავლობით საქართველოსთვის ჯვარცმული ქაქუცა.

სამშობლოსათვის მიძღვნილობის და თავდადების ეს პერიოდი ჯერ კიდევ უცდის მიუდგომელი მკვლევარის და აღმწერელის კალამს.

დათა ვაჩნაძე ამ დღიდან ამ ბრძოლების შუაგულშია. მისი მაღალი ენტუზიაზმი ვერ ჩააქრო ვერც ჩეკის ჯურღმულმა, ვერც უცხოეთში უსამშობლოს სევდამ და ვერც მისმა ხანდაზმულობამ.

განსვენებულმა უცხოეთში მიზნათ დაისახა კავკასიელ ერთა შორის ისტორიული ნდობის და მეგობრობის აღდგენა და მთელი თავისი ენერგია კავკასიის ერთობას ანაცვალა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მან შესძლო მუდამ განზე მდგომ და ცერათ მაყურებელ სომხების მოშინაურება და მათი კავკასიურ ნიადაგზე ამუშავება.

ის მუდამ მხნე, მოძრავი და გაუტეხელი იყო და მისი ენტუზიაზმი წარმომდინარეობდა მისი ღრმა რწმენიდან, რომელსაც ის იმ ჟამად ეძღვნოდა.

მუხანათმა სიკვდილმა წარგვტაცა ასეთი მხნე და საქართველოსთვის თავდადებული ადამიანი.

საქართველოს ენტუზიასტი, მისთვის მუდამ მომქმედი და მებრძოლი მიებარა გერმანიის მიწას, მისი სული კი შეუერთდა უკვდავებაში გარდასულ ქართველებს, რომლებიც აცისკროვნებენ ჩვენს ისტორიას და ახალთაობებს საბრძოლველად აღანთებენ.

ნეტარ არიან ვალმოხდილათ აღსრულებულნი, რომელთა შორის დღეს დათა იმყოფე

## ნაცვლად გვირგვინისა...

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.)

ვშლი: „დათა ვაჩნაძეს“, იქ მრავალნი წაიშალნენ, სია მცირდება... მაგრამ მეორე წიგნაკი უფრო დიდია და დიადი და მას მისამართები არ სჭირია. მას ერთი სათაური ხსნის: „საქართველოსთვის აღსრულებულნი“; მისი საერთო მისამართია: სამშობლოსათვის წამებულთა აკლდამა. ამ პანთეონს დიდი ნათელი ადგას და მის გზას წმიდა ლაშარი აშუქებს...

აი ამ გზას გაუყვა დღეს და მასზე მშვიდათ და დინჯად მიაბიჯებს ჩვენი დათა... კეთილი იყოს მისი მგზავრობა.

აკაკი პაპავა.

## ბევრი იარა თუ ცოტა იარა...

(დასასრული. იხ. „ქ. აზრი“-ს 47-დე ნომ.)

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, თითქმის მთელი ქვეყანა შემოიარა და თითქოს გზად გაევლოს ტფილისსა და ხობს შუა, ბერლინი შემოიარა კი არა დოროთემ აქ მოიკალათა, თითქოს აქ ყოფილიყოს მისთვის მიჩენილი ალაგი, ბინა და სამყოფი.

„ბანოვ ცოზე“ რომ ჩამოხტა არემარე ესხვაფერა...ტფილისის მერე ბერლინი დიდი მოეჩვენა. სადგურში ზღვა ხალხი ირეოდა...დოროთეს აქ არავინ დახვედრია, არც არავის ელოდა, ის თვითონ წაიყვანეს იქ, საიდანაც გამოიძახეს.

შუბერტის სახელობის დარბაზში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი...აქ იყვნენ გერმანელი მხედრები, მათ გვერდში ქართველები, ფორმიანი და უფორმო, ძველი და ახალი...და სცენაზე გამოჩნდა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველ მოხალისეთა ცეკვისა და სიმღერის გუნდი...

„დიდება“!

ყველა ფეხზე წამოდგა...გერმანელი და ქართველი, დოროთეც და სხვები. ვაჟკაცურ მოძახილში გუნდი უმღეროდა თავის სამშობლოს, ქება-დიდებას უგალობდა იმ მიწას, რომელმაც თავის წიაღში შვა უკვდავი რუსთაველი..დარბაზი გრგვინავს...

ახალგაზრდა კომპოზიტორს, პორველად დოროთეს მენშევიკობას რომ სწამებდა, და დოროთე კი ისე შორს იყო მენშევიკობიდან, ისევე ბოლშევიკობიდან, როგორც ცა და დედამიწა, უჩვეულოთ მიჰყავდა გუნდი.

„სიმღერა დიდ თამარს!“

გუნდი უგალობს პირიმზეს, რომელმაც სული შთაბერა ძლიერ საქართველოს.

ახალგაზრდა კომპოზიტორმა ტატომ საოცრად შეასრულა როიალზე ზაქარია ფალიაშვილის შესავალი „დაისიდან“.

იმ საღამოს ყველას ერგო გამარჯვება, მომღერალსა და მოცეკვავეს, კომპოზიტორს და დოროთესაც, მაგრამ დოროთეს თავისთავზე მისდაუნებურად გაეცინა, როცა იგი ბერლინის ქუჩებში ღამის წყვდიადში ჩაეშვა. განა არ ჰქონდა გასაცინებელი? საარაკო საქმე მოხდა იმ ღამეს. განა იფიქრებდა ოდესმე დოროთე, მდინარე სქაის პირას, ბიტა ფარულავას ისლით დახურულ ჭვარტლიან ფაცხაში თვალებახილული დოროთე, იგივე ჯურგუ, თუ ჯუტუ-ჯოტოია, ხვიტა, დაბა ხობის მცხოვრების კოსტა დარასელიას ვაჟი, რომლის მამა ხობისწყლის რიყეზე ქვებისაგან დაკორძებული ფეხებით ხშირად აედევნებოდა ხოლმე ხობისწყლის მიერ ჩამოზიდულ შლამს და ულვაშებიან პირდაღებულ ღლავს, თუ კიბორჩხალას; ან ეზიდებოდა წყლისგან უხვად მოზვავებულ ხეს თუ ხეკორძალას, თუ ოდესმე გერმანიის იმპერიის დედაქალაქში, ქადაგათ გადაიქცეოდა, ისიც შუბერტის დარბაზში სიტყვას წარმოსთქვამდა და სცენიდან ხმამაღლა მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას?

—რა გაცინებს დოროთე შე წუნკალო?

ჰკითხე ტატომ.

—ბიჭო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას მე ვინ მკითხავდა, რა ჩემი საქმე იყო!

ბევრი იცინეს ყმაწვილებმა, მაგრამ სიცილი ვინ აცალა. ალტმოაბიტზე ყმაწვილებს საჰაერო განგაშმა მოუსწრო. თავშესაფარში შერგეს თავი...არა საიმედოა...სარდაფთან ახლოს ეცემა ყუმბარა...უზარმაზარი სახლი მთვრალი კაცივით წაბარბაცდა, წაბარბაცდა და მის აყენებაზე ვინ იფიქრებდა...საშინელი სანახავია ბერლინი იმ ღამეს...ცეცხლის ალშია გახვეული გერმანიის უზენაესი სასამართლოს შენობა, ცეცხლის სტიქიონი ზეცას სწვდება. შტეტინის რკინიგზის სადგურიდან თუ ნასადგურიდან, მოკლულ ადამიანთა გვამები და და მსხვრეული ვაგონები ერთმანეთშია აზელილი. ფანჯრებიდან ცეცხლის ალი გამოჰკრთის რაიხსტაგის ძველი შენობიდან. იწვის უნტერ დენ-ლინდენზე გერმანიის ხელოვნების აკადემიის შენობა. მდინარე შპრეზე ნახევრად ჩაწოლილა ცეცხლმოკიდებული საბარგო გემი. ცეცხლის ტკაცუნი მოისმის ოპერის თეატრის შენობიდან. აგერ ხუთსართულიანი შენობა ლიწინლიწინით დაეშვა დაბლა, დაეშვა და ჩაიფუშა. ბერლინი ცეცხლის ზღვაშია ჩაფლული. თითქოს ადამიანთა რისხვა არ აკმარესო, ეხლა ზეცაც მოიღუშა, ქარიშხალი ამოვარდა და წვიმა დაუშინა. გავარდნილ ქარს გადააქვს ცეცხლი ერთი ადგილიდან მეორეზე. ქუჩაში გავლა არ შეიძლება. ყუმბარებისაგან ამოჭმულია მიწის გული. მიწის სევდა ზეცას სწვდება... აგერ ცეცხლწაკიდებულ სახლის სარდაფიდან მეხანძრეებმა ამოიყვანეს ნახევრად შეშლილი დედაკაცი. იწვის ბერლინის უნივერსიტეტი...ცეცხლშია ფიხტესა და ჰეგელის ქალაქი. ფერფლდაქცეულ სარდაფებიდან ადამიანთა გვამები ამოაქვთ...ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამ საშინელ სანახაობას გაუძლოს. ირგვლივ მიწის გული ღრმად ამოუთხრიათ...ამ ნაპრალებს თითქოს ადამიანის გადასაყლაპავად დაუღიათ პირიო. დოროთეს აღმოთქდა გულიდან: „საბრალო დედამიწავ! თუ მართლა შენ ხარის რქაზე ხარ დამდგარი, დიდი ყოჩაღი ყოფილა ის ხარი, მიწის სევდას ასე გმირულათ რომ ეზიდება; და თუ მართლა ღერძის გარშემო ჰტრიალებ, ბარაქალა მას, რომ ამდენი უბედურების ატანა შესძლებია!“

—თავი დაანებე მოთქმას, ან შენ რას გააწყობ, ან შენი მოთქმა, მოთქმა მოთქმად დარჩება და უბედურ ბედის ტრიალს რა შეანელებს! სთქვა ტიტომ.

—ჰოდა, მომაგონდა ბიჭო ტკბილი დედას სიტყვები: „სქანსანთელო! ერთ დღეს ბები, ქვეყანაზე ქარბორია დატრიალდება და მაშინ იქნება „მერეთმორსება“.

საბრალო ბები! რომელი მეორედ მოსვლა არ სჯობია ამ დაქცეულს? მეორედ მოსვლისას ერთხელ გაგასამართლებენ და საზღაურს მიგისჯიან, მაგრამ დღეს აქ ყოველდღე გაუსამართლებლად არ გხდიან სულს?

ეჰ, ძვირფასი ბები! შენ წარმოდგენით გაქვს აღთქმული მეორედ მოსვლის საშინელება და შენს კალთაში აღზრდილი—კი ყოველ დღე ამ ჯოჯოხეთშია! მიუგო ტატოს დოროთემ.

***

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დოროთემ ლამის მთელი დედამიწა შემოიარა...მაგრამ სასიკეთო ვერა ნახა რა, მაგრამ რადგან იარა ეხლა იტალიაღა დარჩა და ისიც შემოიარა.

—აგერ ვერონა ჩემო ტატო—ნახე ბიჭო გაიხარე!

—რას მახარებ, ისე გახარებული სახე მიგიღია თითქოს ტფილისში გეგონოს შენი თავი!

—ტფილისში თუ არა მგონია ვერონაში ხომ ვართ ბიჭო...გაიხარე და გავიხაროთ. მამაშენს მთელი თავისი ქონება ღელეს წისქვილთან ერთად რომ გაეყიდა, აქამდინ ვინ გამოეტარებდა!

—ჰო, მართლა წისქვილზე მომაგონდა—ერთი მითხარი, როგორ იყო ის, მეწისქვილემ პრუსიის მეფეს რომ უჩივლაა. დ...

—უჩივლა და მოუგო კიდეც.

—აი გიდი ბიჭობასა!

—ჰო რა გინდა ამით რომ თქვა?

—ის რომ ჩვენში რაიაღმასკომის თავმჯდომარეს რომ უჩივლო...

—გადაგასახლებენ... უკან ჩამოიტოვებ ხილი ან ბაღებს, ვაზებსა და ნავენახარს...!

## როგორ დაეცია ხრუშჩოვი ამერიკას.

(წერილი მეორე)

აქ ხრუშჩოვი აკეთებს დიდ ჭკვიანურ აღმოჩენას: „არ შეიძლება, ხალხს დაუსახო ლამაზი პერსპექტივები და ამით აცხოვრო. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დღეს ჰქონდეთ რძე ხორცი და სხვა სანოვაგე. საკმარისი არ არის მარტო დაპირება-ო“. და რომ მარტო დაპირებებია ეს თურმე მარტო ხრუშჩოვის ხელქვეითების ბრალია. „ზოგიერთ ქალაქში ცოტა იყიდება რძე, კარაქი, ხორცი, როცა ურეკავ ხელმძღვანელებს და ეკითხები: რატომ თქვენთან არ იშოვება რძე? დაწყნარებული გიპასუხებენ „კი, იყო შეწყვეტებიო“ (პერებოი) წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც მივიდა სასადილოში სადილისათვის და მას ეუბნებიან: დღეს ხორცი და რძე არ არის, რადგან მაღაზიებში „შეწყვეტააო“. რა უნდა ქნას მან შეწყვეტას ხომ კერძში ვერ ჩადებს“-ო?. „ამხანაგებო, მეცხოველეობის შემდეგი განვითარებისათვის მთავარ პირობათ უნდა ჩაითვალოს კარგი საკვები ბაზების შექმნა. შესაძლებლობანი ჩვენში მართლაც უსაზღვროა. სინამდვილეში კი ზოგ ქალაქში ცოტა იყიდება ხორცი, რძე და კარაქიო“ რძე და კარაქზე ხრუშჩოვის საერთო ფრაზეოლოგია და ციფრები გვაფიქრებინებს, რომ სწორეთ რძე და კარაქი აკლია საბჭოთა მოქალაქეს და ამერიკა კი არა, ამ მხრივ ხრუშჩოვს ჩინეთიც დასაწევი გახდომია.

უნუგეშოა ხრუშჩოვის მომავალი ხორბლეულობის დამზადების საქმეშიც. ციფრები ძალიან ძუნწათ და მხოლოდ გაკვრითაა მოყვანილი. მაგ. მოსახლეობის ფაქტიური საჭიროების და მიხედვით—საჭირო ყოფილა 4.240 მილიონი ფუთი ხორბალი, დამზადებულა კი 2.852 მილ. ე. ი. ერთი მესამედით ნაკლები. დაპირების მიხედვით კი უნდა დამზადებული ყო 1960 წელში 1958 წელთან შედარებით (სარეკორდო წელია მოსავლის) 8 პროცენტით მეტი. საგულისხმო და ბევრი რამის მაჩვენებელია ციფრები კერძოთ უკრაინის შესახებ.

1948 წელში უკრაინის რესპუბლიკას ჩაუბარებია 613 მილიონი ფუთი ხორბალი. 49 წ. 534, 58 წ. (სარეკორდო მოსავალი) 553. 59წ. 451. 60 წ. 358 მილ. ფუთი. ეს მაშინ, როდესაც უკრაინას ჰქონია 49 წელში 15.600 ტრაქტორი. 1960 წელში კი 202.500. ე. ი. 1960 წელში [illegible] 49 წელთან შედარებით ჩაუბარებიათ ნახევარზე ცოტა მეტი. ბელორუსიას 1950 წელში ჩაუბარებია 30 მილიონი ფუთი ხორბალი, 1960 წელში კი 11 მილიონი. სახელმწიფოსაგან 1950 წელში მიუღია ხუთი მილიონი ფუთი, 1960წელში კი 11 მილიონი ფუთი. ხრუშჩოვი უწოდებს ამას სამარცხვინო საქციელს და ჩვეულებას. მოსკოვის ოლქს 1960 წელში ხორბალი სულ არ ჩაუბარებია, რადგან ამისაგან ის განთავისუფლებული ყოფილა და განთავისუფლების დროს მხედველობაში მიუღიათ, რომ ეს ოლქი ნაკლებს მოსთხოვდა სახელმწიფოს კონცენტრატებს. „მაგრამ დახეთ რა გამოვიდა, მარცვლეული არ ჩაუბარებიათ და სახელმწიფოსგან კი წაიღეს 29 მილიონი ფუთი ფურაჟიო. ძროხების რიცხვი კი ამ ოლქში იმავე პერიოდში 20.000 შემცირებულა.

„სრულიად უმიზეზოთ—ამბობს ხრუშჩობი. შეამცირეს ხორბლის ჩაბარება ლატვიამ, ლიტვამ და ესტონიამ“. ის ამას ხსნის ცუდი მუშაობით და სავსებით მართალია, რადგან როცა სახელმწიფო ადამიანებს მუქდად და თავის სასარგებლოთ ამუშავებს, მათი შრომა უნაყოფოა. აე იყო წინათ რომში, საბერძნეთში და ყველა დესპოტიურ და მოქალაქეობრივ უფლების უარმყოფელ რეჟიმების დროს. ასეა დღესაც ხრუშჩევის მონურ იმპერიაში. თითქოს ამას ეხლა ხრუშჩოვიც მიმხვდარა რადგან ამბობს: „საჭიროა ადამიანების მატერიალური დაინტერესება, ამას უნდა ეჭიროს განსაკუთრებული ადგილი ჩვენ ორგანიზაციულ მუშაობაში. მარტო მორალური ფაქტორით შორს ვერ წავალთ“. ვთქვად დაუჯერეთ ხრუშჩოვს ეს განცხადება. მაგრამ საკითხავია თუ ხრუშჩოვი ისე მოიქცევა ,როგორც ხალხს პირდება, ე. ი. აუნაზღაურებს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ადამიანებს მათი შრომის ღირებულებას, შეუქმნის ცხოვრებისთვის მისაღებ პირობებს. საიდან შესძლებს ხარჯოს ასტრონომიული თანხები ატომური ბომბების გასაკეთებლად, მსოფლიოს ყველა ნევრალგიურ პუნქტებში წყლის ასაღრევად და პერმანენტული რევოლუციების გასაღრმავებლად? სოფლის მეურნეობის ნაწარმის ჩაბარების დროს, თურმე ადგილი აქვს მოტყუებას, წონდებული საქონლის შეპარებას, წონაში მოპარვას და სხ... „უნდა შემოვიღოთ ისეთი სისტემა, რომ ეს შეუძლებელი გახდეს“-ო ამბობს ბელადი. საბჭოეთში რა სისტემაც არ უნდა შემოიღონ იქ მოტყუილება, ქურდობა, მექრთამეობა მუდამ იქნება. ამის მაგალითს თვით საბჭოთა მთავრობა იძლევა, როდესაც კოლმეურნეობებიდან, ვითომც ყიდლობს მათ ნაწარმოებს, შემდეგ კი იმავ სანოოვაგეს სამჯერ და ოთხჯერ ძვირად ყიდის თავის მაღაზიებში. სწორედ საბჭოთა მმართველობა ქმნის საბჭოთა მოქალაქისათვის ისეთ ცხოვრებას, რომ კაცი იძულებული ხდება არსებობისთვის თავისივე ნაშრომი-ნაოფლარი თვითონვე მოიპაროს. ამავე დროს ხრუშჩოვი უტიფრად ამბობს: სოციალისტურ მეურნეობაში არ შეიძლება იყოს დამზადებისადმი ისეთი მიდგომა, როგორც ეს არის კაპიტალისტურ ქვეყნეში. იყიდე ნაწარმი და ეს ყველაფერია—ისვინც ყიდლობს არ ზრუნავს იმის ინტერესებზე, ვისგანაც ყიდლობს. იქ თუ ვერ მოატყუე ვერ გაყიდიო“. ჩვენ კი ვიტყვით: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ იქ სადაც თავისუფალი აღებ-მიცემობაა (ე.ი. თავისუფალი კონკურენციაც), სადაც არ არის სანოვაგის და ინდუსტრიალური საგნების დიდი ნაკლებობა (როგორც ხრუშჩოვის სამყაროში), ძალიან კარგათ იციან, რომ თუ ერთხელ მოატყუე მეორეთ ვერ გაყიდი. ეს არ იცის და არც უნდა იცოდეს ხრუშჩოვმა, როდესაც ორას მილიონ საბჭოთა მოქალაქეს, ათეული წლების მანძილზე ატყუილებს. ეს ხალხი მას და მის საექსპლოტაციო აპარატს წინაალმდეგობას უწევს რასაც საუკეთესოთ ამტკიცებს ხრუშჩოვის აქ განხილული სიტყვა.

ჩვენში ხშირად ხდება ასე: ერთი კაცი კოლმეურნეობაში აღწევს შესანიშნავ შედეგებს, კოლმეურნეობა კი მთლიანად ჩამორჩენილია, რადგან სხვები მოვალეობას არ ასრულებენ. მოწინავის სახელწოდება იხმარება ერთგვარ ფარად, რომელზედაც ამოფარებულია კოლმეურნეობების მეთაურობა“-ო—აღიარებს თვით ხრუშჩოვი. ესეც ცნობილია „სტახანოვის“ არა კეთილად სახსოვარ დროიდან. ხრუშჩოვს კი მხოლოდ ეხლა შეუტყვია. იკვეხის კიდეც: ხალხმა და პარტიამ დამაყენა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ადგილზეო—მე ხომ არ დამისახელებია ჩემი თავი თქვენ ამირჩიეთო და თქვენ ხომ არ აირჩევთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენი ნდობის ღირსი არ არიანო.

ჯერ ერთი თუ როგორ აირჩია ხალხმა ხრუშჩოვი ეს ყველამ კარგათ იცის და ყველაზე უკეთესოდ სწორედ მათ იციან, ვისაც ნიკიტა ელაპარაკება. თავის თავი მან თვითონ აირჩია თაღლითობით წამოსკუპდა „განგვირგვინებული“ მასწავლებლის ადგილზე. კოლექტიური მმართველობის უკეთესობის მტკიცებით გარეკა სავარაუდო კონკურენტები; სოფლის მე- [illegible] მმართველობიდან. თუმცა ისენიც სოფლის მეურნეობაზე და ცხოვრების დონის აწევაზე იმასვე ლაპარაკობდნენ. რასაც დღეს ხრუშჩოვი იმეორებს. მეორე: საბჭოთა ყოველმა მოქალაქემ და მთელმა მსოფლიომაც იცის, რომ ნიკიტა ნდობის ღირსი არ არის, რადგან მას „დიდი ბელადი სტალინი“ დიდათ ენდობოდა—ხანდისხან „გოპაკსაც“ კი აცეკვებდა. თავის საუკეთესო მოწაფედ მიაჩნდა (ეს ითქვა ბელადის დასაფლავებაზე), ხოლო სიკვდილის სამი წლის შემდეგ კი შეგირდმა ოსტატს კუბოში წიხლები ჩასცხო. ბერიაც ენდობოდა „ბელადის ერთგულ მიმდევარს“ (ესეც ითქვა ბელადის დასაფლავებაზე) და ეხლა თვით ხრუშჩოვი ამბობს „ჩვენ მოვკალითო“. მალენკოვ-მოლოტოვი, კაგანოვიჩ-შეპილოვი, ჟუკოვი და ბულგანინი და სხვებიც ენდობოდნენ ნიკიტას, მაგრამ ისენიც „გაანაპირა“. რვა წელიწადია, რაც საბჭოთა სამყაროში გამომწყვდეულ ერებს და ადამიანებს ხრუშჩოვი პირდება დიდ და ბევრ რამეებს და არც ერთი დაპირება მას არ შეუსრულებია. ხრუშჩოვი ნდობის ღირსი არ არის თუ გინდ იმისათვისაც, რომ წელიწად ნახევარის წინ ქვეყანას ამცნო: ამერიკას ვეწევი და მალე გავასწრებო, ეხლაკი სულ სხვა ხმაზე „გალობს“. საერთოდ ხრუშჩოვის ლაყბობა კ. პ. ცეკას პლენუმზე, შემდეგ „ეროვნულ რესპუბლიკებში“ და სხვაგანაც, და ისიც, რომ ამერიკაში ყოფნის დროს ამერიკელებს სიმინდის თესვას, ათასწლოვანი ვაზის კულტურის ქვეყანაში, საქართველოში—ქართველებს ვაზის დარგვას, ყაზახეთში—ყაზახებს იურტების დადგმას. ყირგიზეთში— ყირგიზებს ცხვრების სარწყულების მოწყობას, და სხ.. ასწავლიდა, ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ მას სწორედ თავისი თავი ყავდა მხედველობაში, როცა ამბობდა „შეჭამა კაცმა კართოფილი და გონია სოფლის მეურნეობა იცისო“ და ის უეჭველად ფიქრობდა თავის თავზე და თავის კომუნისტურ პარტიაზე, როცა სთქვა: „რა პარტიაა ის პარტია, რომელშიაც მოლაყბეები არიან, ასეთ პარტიას არავინ პატივს არა სცემსო. იმავ პლენუმზე, იმავე სიტყვაში ხრუშჩოვი არ მალავს, რომ ხორბლეულის, რძე-კარაქის დამზადების საქმე კარგად არ მიდის და ამავე დროს მისგან ვგებულობთ, რომ აბჭოთა კავშირში არ არის საკმარისი მზისუმზირა და მისი ზეთი, კართოფილი, მწვანილი. „კართოფილი რაც არის ისიც ცუდი ხარისხისაა, კარგს თითონ იტოვებენ ჩამბარებლები. მომხმარებელს ურჩევია ის შეიძინოს კერძო ბაზარზე სამჯერ უფრო ძვირათ, ვიდრე მთავრობის მაღაზიებში იყიდებაო“. ამას „გულწრფელად“ აღიარებს თვით ხრუშჩოვი.

ხორცის დამზადება ზევით მხოლოდ გაკვრით ვახსენეთ. ვნახოთ უფრო ახლოს. 1960წ. ხორცის წარმოება შემცირებულა 93.000 ტონით, არაკლიმატური პირობების, არამედ მეცხოველეობისადმი უყურადღებობის გამო.

1960 წელში რუსეთის ს. ს. ფ. რესპუბლიკაში გამწყდარა 5 მილიონ 218.000 ცხვარი, ყაზახეთში-3 მილიონ 306.000, ყირგიზეთში-609.000, საქართველოში—201.000 (ეს 201 ათასი შეადგენს ცხვრების მთელი სულადობის 10 პროც.) სასომხეთში გამწყდარა ცხვრების მთელი სულადობის 11 პრ. სულ საბჭოთა კავ-

ბა და რომელთა სახელებს სიამაყითა და სიყვარულით მოიგონებს ქართული მოდგმის შთამომავლობა.

მ. სინჯიკაშვილი.

—მოიცა, მოიცა ეს ის მეფე არ არის ერეკლეზე რომ თქვა, მე ევროპაში ვბრძანებლობ და აზიაში კი უძლეველი მეფე ერეკლეო?

—ჰო!

—კარგი მეფე ყოფილა!

—რატომ?

—ჩვენი ქართველი მეფე რომ ყვარებია!

—კარგი მეფე ვის არ ეყვარება?

—მერმე?

—ფრიდრიხ დიდმა ააშენა სასახლე, თავის სასახლეს „სანსუსი“ დაარქვა. იგი ითვლებოდა მუდამ მშფოთვარე მეფის საყვარელ ადგილად. ვეებერთელა პარკში, ზედ ამ განსაცვიფრებელ სასახლის ცხვირის წინ გამოჭიმულია ისტორიული წისქვილი!—

ფრიდრიხ დიდმა როცა ამ ზღაპრული სასახლის აგება მოათავა, საჭირო გახდა წისქვილის აღება. მეფეს ყოველ დღე ესმოდა წისქვილის არა სასიამოვნო ხმაური.

—წისქვილი უნდა გაუქმდეს!

ბრძანა უძლეველმა და რადგან ბრძანა უნდა შესრულდეს კიდეც და მეფის მსახურნი მეწისქვილესთან მიიჭრნენ. მოსთხოვეს წისქვილის აღება, მაგრამ მეწისქვილე ყალყზე შესდგა, უარით გაისტუმრა მეფის მსახურნი. ამ თავად კარის მინისტრმა იკადრა მისვლა. მაგრამ არ გატყდა ჯიუტი პრუსიელი.

—წისქვილი მე მეკუთვნის, ჩემია...საკუთარ მიწაზე აგებული!

მოიშველია საუკუნოებით განმტკიცებული საკუთრების შეუვალობა მეწისქვილემ. ეხლა თვით ფრიდრიხ დიდი ეწვია თავის ამალით უცნაურ ადამიანს. მეფეს ქუდის მოხდით გამოეგება მეწისქვილე.

—მეწისქვილევ! წისქვილი უნდა მომყიდო!— ბრძანა მეფემ.

—ხურვება თუ დაემართა საწყალს!—

—არც ხურვება და არც ციება!—

—არ იქნება დიდებულო მეფევ!

—მაშ უნდა გადაიტანო სხვაგან!

—არც ეს იქნება!—გაჯიუტდა პრუსიელი.

მაგრამ როცა მეფის ბრძანებით წისქვილის ძალით აღება მოინდომეს, მეწისქვილემ მეფეს პრუსიის სასამართლოში უჩივლა. მეფემ წააგო... სასამართლომ დააკმაყოფილა მეწისქვილე. მეფემაც სასამართლოს განაჩენს ხელი მოაწერა...სამეფოს ბეჭდის დასმით დაადასტურა.

ჰოდა ისევ ვერონას დაუბრუნდეთ...ბიჭებმა გვერდი აუარეს ერთ პატარა სახლს. თურმე დანტეს ამ ადგილზე უყვარდა სეირნობა საღამოობით. როცა ერთხელ ჩვეულებრივად ამ ალაგას გამოიარა...ცნობის მოყვარე დედაკაცებმა აათვალ-ჩაათვალიერეს შორიდან, როცა პოეტი მათ მიუახლოვდა, ერთმა დედაკაცმა მეორეს ხმა დაბლა ჩასჩურჩულა თურმე:

—რა ჩასჩურჩულა თუ კაცი ხარ მითხარი!

—შეხეო! ეს ის კაცია, როცა მოესურვება ჯოჯოხეთში ჩავა და ისევ ამოვა უვნებლადო!

—ჭეშმარიტად მართალი ხარ, ამას მისი სახეც ადასტურებს. აბა კარგად დაუკვირდი? როგორი დამწვარი სახე აქვს ჯოჯოხეთის ალისაგანო“.

ამ დროს ძაღლი გამოვარდა ეზოდან და ყმაწვილებს აეკიდა. რატომღაც ნიშანში ტატო ამოიღო... წაედავა უდავო რამეზე. ტატომ დაუყვავა, მაგრამ ძაღლი არ დაუყვავდა...

ძაღლი ძაღლურად ასე ფიქრობდა: „უცხო ვინმე ხარ, ჯერ არ მინახავს შინი მსგავსი, მტერი ხარ თუ მოყვარე, ჩემი ხარ თუ სხვისი და ამიტომ გედავებიო...ჰოდა შენ ვიღაც ხარ ჩვენი ჯიშის არა ხარო, ამიტომ მე ჯიშიანი ვარო და ყველა უჯიშოს ვედავებიო, თუმცა სადაო არავისთან არაფერი მაქვს, მაინც ვდავობ...დამსახურებას დავეძებ პატრონისგანო“..

ტატომ გზა უტია და თანაც დაუყვავა: ბრიყვი ხარ შე უბედურ დღეს გაჩენილო, შე მართლა უჯიშო, მტერს და მოყვარეს გარჩევა უნდა, ნეტავ შეგეძლოს ამის გაგება და გზა უტიე, მაგრამ უფრო ამეკიდა...ე, ძაღლია, იცის პატრონის ერთგულება.

—წამო ძმაო, წამო...ძაღლთან კი არა კაცი კაცთან ვერ მორიგებულა!

ყმაწვილებმა გზად გასწიეს, მაგრამ ხილის სავაჭროს წინ ჩოჩქოლი ატყდა, იქით გაემართნენ, სანახაობა უნდა ენახათ და რა ნახეს... ატამი მოეტანათ და რიგში მდგომთ აურზაური აეტეხათ.

—თუ ძმა ხარ სადა ვართ?

—ვერონაში!

—არა!

—აბა სად?

—არც მე ვიცი!

—თუ არ იცი მე გეუბნები!

—რას მეუბნები?

—რიგში ჩავდგეთ და ატამი ვიგემოთ!

—ტფილისში ვართ?

—არა ბიჭო ოკრიბაში!

—აბა რა ჩოჩქოლია! ქართველებია?

—არა იტალიელებია!

—რა ვქნა! ქართველებივით ჩოჩქოლობენ?

—ჰო!

ამ დროს საჰაერო განგაში ატყდა...ვერონის ასაოხრებლად მოეშურებოდნენ ინგლისის თვითმფრინავები. ზოგი სად გარბის, ზოგი სად. რიგოსანთა რიგი ოდნავ შენელდა, შეთხელდა, მაგრამ თავგანწირულიც ბევრი აღმოჩნდა, ატამს ასე ადვილად არ თმობენ, არც მეხილე ჰკეტავს დუქანს, ალბათ ხილის გასაღებას თუ ეშურება იმ ქვეყნად გამგზავრების წინ.

—ერთი შენც, წავიდეთ თუ კაცი ხარ თავშესაფარში!

—თუ კაცი ვარ არსად არ წავალ, სანამ ატამს არ ვიყიდი!

—წავიდეთ თუ კაცი ხარ, აქ თავი არ მივახურდავოთ, ატამს მერმეთაც მოვესწრებით!

—საქმეც მაგაშია და...ვინ იცის მოვესწრებით?—სთქვა დოროთემ და არხეინად განაგრძო რიგში დგომა.

—ამ ოხრად დარჩენილ ატამს ხომ არ უნდა ვემსხვერპლოთ დღეს? სთქვა ტატომ.

დოროთემ ატამი იყიდა, სიხარულით ცას ეწია როცა ხელში ატმით სავსე პარკი ეჭირა. ქალაქზე თავდასხმა არ მომხდარა...ალბათ მომხდურებმა სხვაგან თუ გადუხვიეს...დამხდურებმა კი, ვინც ივაჟკაცა, ატამით გაახარა თავისი გული.

დოროთე მართალი გამოდგა:

„სიჩქარით სოფელი არავის მოუჭამია“.

***

ბევრი იარა თუ ცოტა იარა დოროთემ და ტატომ მთელი დედამიწა თუ არა, ნახევარი მაინც შემოიარა, შემოიარა და ამ ჟამად ალპების კალთებზე შეფენილ სოფელს მიადგნენ და იქ დაიდვეს ბინა.

ბედი მიაჭქროლებს ორივეს ალალივით, საითა უნდა იქ დაჰყავს, შენ მითხარი უბედობა, თორემ ბედმა თუ გაგიღიმა და თავის ფრთებზე შეგსვა ნიბლია ჩიტივით გატარებს, გატარებს და შემოგატარებს ყველაფერს.

დოროთემ და ტატომ ომი გაათავეს, თუ ომი წააგეს, სამხედრო ტანისამოსი დაიხადეს და შესაღებად სამღებროში წაიღეს, სანამ დაღებავდნენ ვიღაც ბავარიელმა გლეხმა ბავარულად მორთო ორივე; ორივემ კიდევ ამ ბავარიელთან დაიდვეს ბინა...ერთი მეჯინიბეა, მეორე კი მთიბავი.

დოროთეს შველის გერმანული ენა, ტფილისში დაჭკირკიტებდა, ტატოს კი არც მაშინ და არც ეხლა მისთვის თავი არ შეუწუხებია, არც გერმანულ ენას შეუწუხებია იგი, მაგრამ აქ კი შეაწუხა, შეაწუხა იმიტომ, რომ ნათქვამია: საცა ქვეყანაში შეხვალ იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო.. ქვეყნის ქუდი კი ხურავს ტატოს, მაგრამ ქუდი რას გიშველის თუ ენასთან მწყრალად ხარ

## როგორ გაეწია ხრუშჩოვი ამერიკას.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

შირში გამწყდარა 12 მილ. 500.000 სული ცხვარი. „ამან დიდი ზარალი მოგვაყენაო—ამბობს ხრუშჩოვი, ხორცს რომ თავი დავანებოთ მრავალი მილიონის მარტო მატყლია დაკარგულიო". არ შეიძლება, ამხანაგებო. შემდეგში დაუშვათ ასეთი უმსგავსოებანი, როდესაც საქონელს არ ღებულობენ, რადგან სასაკლაოს მისი გადამუშავება არ შეუძლიანან კიდევ „როდესაც მიყავთ საქონელი სახელმწიფოზე ჩასაბარებლად, სავსეა სიმსუქნით, ღებულობენ დამმზადებლები და გაძვალტყავებლიაო. აი როგორი უმსგავსოებანი არის ჩვენში". ვაღიარებთ, რომ ამ შემთხვევაში ხრუშჩოვი სრულ სიმართლეს ლაპარაკობს. „რომ დავეწიოთ ამერიკას, ხორცის წარმოების მხრით, მაგალითად, ჩვენ საბჭოთა კავშირში უნდა ვაწარმოოთ 42 ცენტერი ხორცი (დაკლული წონით) 100 ჰექტარ სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე. 1959 წელს კი ყოველ 100 ჰექტარზე წარმოებული იყო მხოლოდ 17 ცენტერიო". ის განგებ იღებს 1959 წლის ციფრებს, რომ არ მოიყვანოს 1960 წლისა, რომელიც 17 ცენტერზე გაცილებით ნაკლებია. ამ მდგომარეობით უნდა ხრუშჩოვს ამერიკის დაწევა?

ყამირი მიწები ხრუშჩოვის პირმშო შვილი და მისი „გენიალურ წამოწყებაა", რომელმაც ასეული ათასი ახალგაზრდას ჯანმრთელობა და სიცოცხლე შთანთქა. დიახ, ყამირი მიწები უნდა გამხდარიყვნენ სოციალისტური სამშობლოს „მარჩენელი" და თანახმად „დავალიბადაპირებისა" იქედან 1960 წელში უნდა მიეღოთ „სარეკორდო მოსავალი". სწორედ ამ წელში მოსავლის აღების შემდეგ გამოირკვა, რომ მოსავლის „დაკვეთა" არ შეიძლება და მიუღიათ 16 მილიონი ტონით ნაკლები, ვიდრე 5 წლის წინეთ. ე. ი. 1955 წელში, როცა იქ ჩასახლებული ადამიანების რიცხვი, მანქანებია და დამუშავებული სივრცის რაოდენობა გაცლებით ნაკლები იყო, ვიდრე 1960 წელში. ეს აღიარა ხრუშჩოვმა არა პლენუმზე, არამედ უფრო გვიან—ყაზახსტანში წარმოთქმულ სიტყვაში.

ყამირი მიწების შესახებ ხრუშჩოვს მოყავს საერთო ციფრები და ისიც გაკვრით. მაგ. ის ამბობს: სახელმწიფოს აქ ოთხი წლის განძავლობაში ას მილიარდზე მეტი შემოსავალი აქვსო. მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რამდენი შემოსავალი აქვთ იქ ძალით ჩასახლებულ ადამიანებს? ვის შეუძლიან თქვას, რომ ეს ასი მილიარდიც ხელოვნურად შეჯამებული არ არის. ე. ი. როგორც სხვა მათი სტატისტიკური ცნობები?

თანახმად ხრუშჩოვის მიერ მოცემული ცნობებისა, დამუშავებული ყოფილა 41 მილიონი ჰექტარი. ნიადაგის მოძრაობაზე, ეროზიაზე, „შავქარიშხლებზე", რომლებსაც მიაქვთ დამუშავებული ნიადაგი მთელი დავისი ნათესებით (ეს თურმე (!) სცოდნიათ ადგილობრივ მცხოვრებ ყაზახებს და არ სცოდნია, ყოვლის მცოდნე ხრუშჩოვს, როდესაც თავისი დიდი და გენიალური" გეგმის შესრულებას შეუდგა) ის არაფერს ამბობს.

„ყამირ მიწებმა" დაამტკიცეს, რომ ხრუშჩოვს, სასწაულების მოხდენაც შეუძლიან. მაგ. დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სენსაციური ცნობა, რომ საქართველოს მთებში, დიდ სივრცეზე „წითელი თოვლი" ნახესო. ეს წითელი თოვლი არის „გაწითლებული" ყამირ მიწების ნიადაგის ზედაპირი, მტვრათ ქცეული ყაზახსტანიდან საქართველომდე ქარის მოტანილი. ამას ქვია ეროზია და შავი ქარიშხალი.

ყაზახსტანში—ყამირ მიწების ქვეყანაში, წარმოთქმულ სიტყვაში ხრუშჩოვი თავს ესხმის პარტიის რაიონულ მდივნებს „თვითნუბურად მოქმედებისათვის" მკვეხარა ხელმძღვანელები, რომლებსაც სურთ თავი გამოიჩინონ, გეგმების ვადაზე ადრე შესრულებით, სამუშაოდან ხსნიან საბჭოთა მეურნეობის საქმიან დირექტორებს. ვადაზე ადრე პურის ჩაბარების შეუსრულებლობისთვის. „კნუტის" ქვეშ არამც თუ ადამიანი, ცხენიც კი ცუდათ მუშაობსო" ამბობს ხრუშჩოვი. „კნუტის" ქვეშ მუშაობაზე ხრუშჩოვი ეხლა სულ პირველად ალაპარაკდა. სწორედ ეს „კნუტია" საბჭოთა წყობილების მამოძრავებელი ძალა და რომ ეს „რუსული კნუტი" არ იყოს, ვერ იარსებებდა თვით ხრუშჩოვი და „ხრუშჩოვიადა" დიდი ხნიდან მოსპობილი იქნებოდა.

1961 წლის იანვრის კომუნისტური პარტიის პლენუმზე, ყაზახისტანის „ხრუშჩოვი" კუნაევი ამბობდა: „ყაზახსტანში მცირე მოსავლიანობის გამო 1960 წელში სახელმწიფოსთვის ჩაუბარებიათ 642 მილიონი ფუთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 794 მილიონისა. ამრიგად, კუნაევის აზრით, ყაზახეთის რესპუბლიკა დიდათ დავალიანებული ყოფილა რუსეთის წინაშე. ამიტო სრულიად გასაგებია ალმა-ატაში და აკმოლინსკში ხრუშჩოვის ყვირილი და მუქარა.

საერთოდ ყამირი მიწების, ე. ი. 41 მილიონი ჰექტარის საბჭოთა კავშირის დამუშავებული მიწების ფონდში ჩარიცხვამ საქმეს არ უშველა თვით საბჭოთა სტატისტიკი ცნობით 1913 წელში 160 მილიონ მოსახლეობაზე მიღებული იყო 86 მილიონი ტონა ხორბალი. ეხლა 210 მილიონ მცხოვრებზე მიღებულია 130 მილიონი ტონა. მიუხედავათ მრავალი ტექნიკური გაუმჯობებებისა მოსახლეობის სულადობაზე მოსავალი არ მომატებულა. მთელი ამ ყამირი მიწების ორომტრიალის მაგიერ, ნუ თუ არ სჯობდა, რომ მიეღოთ ყოველგვარი ზომები, რათა უკვე დამუშავებულ მიწებიდამ მიეღოთ მეტი შემოსავალი?! ნუ თუ შეუძლებელია, რომ რუსეთის მიწის შემოსავალი ამაღლდეს ევროპის შემოსავლიანობის დონემდე? ამ ჟამად რუსეთში ხორბლეულის საშუალო მოსავლიანობა 10-12 ცენტერს არ აღემატება, როდესაც საფრანგეთის ძველი გამოფიტული მიწა იძლევა 25 ცენტერის ჰექტარზე.

გრ. აბულაძე.

---

„ქართული აზრი"-ს რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართულ საზოგადოებას, რომ გასული თებერვლის 23-ს ჰამილტონში (კანადა) გადრაიცვალა ჩვენი თანამემამულე

**მაიკ მიტტო**
**(ნესტორ მეტრეველი)**

ღრმა თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს.

ნეკროლოგი დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

---

## არა სასიამოვნო ამბავი.

შეერთებულ შტატებში კარგა ხანია რაც არსებობს საზოგადოება „ალავერდი". მისი ვითარების შეფასებას არ შეუდგებით.

„ალავერდი" ჩვეულებრივად მართავს საღამოებს, სადაც ჩოხოსნობა და კავკასიური ცეკვა ხალხს იზიდავს.

ამ წელს —ალავერდი"-ს საღამოზე დაპატიჟების პროპაგანდას მიეცა „პოლიტიკანობის" ხასიათი, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება ქართულ ინტერესებს.

საკვირველი ისაა, რომ იმ დროს, როცა შეერთებულ შტატებში არსებულ ქართულ სხვა და სხვა დაწესებულებებს ემჩნევა მეტი სიდინჯე და შეგნება და როცა ქართული სათვისტომო იწევს წინ საქმიანობის და ნორმალური ვითარების ნიადაგზე „ალავერდი"-ს დასჭირდა ქართული პოლიტიკური საფუძვლების შერყევა და დასუსტება.

„ალავერდი" პატიჟობს ხალხს რაღაცა 70 ენაზე მოლაპარაკე ხასიათის კოლონიალურ ცირკში ტომობრივი დაყოფის სეირის საყურებლად.

თვით ფოლკლორის და ზღაპრების ხსენებაც თითქოს გამოყენებულია არსებული უძველესი მწერლობის, საზოგადოებრივი ცხოვრების და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გასაუქმებლად.

უნდა ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიის მიწები, დაახლოვებით თერგის დასავლეთიდ გაცარიელებულია მკვიდრი მოსახლეობისაგან, რაც რუს-ოსმალოს ომების და მოსკოვის გენოსიდური პოლიტიკის შედეგია. იმის მაგიერ რათა უცხოეთში გაბნეულ ჩერქეზებს აღუძრას სურვილი სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის საკუთარ მამა-პაპეულ მიწა-წყალზე, ალავერდის პროპაგანდა, ტომებრივი დაყოფით, სხვა ფარგლებში მყოფ ხალხს მიათრევს ამ გაცარიელებულ გენოსიდურ სივრცეში მოსკოვისათვის ახალი მსხვერპლის მოსამზადებლად, თითქოს კავკასიონის მაღალი ქედის ზღუდეც არ არსებობდეს.

ამგვარი ანექსია არც კრემლინს გაუბედავს!

ამგვარი შეუგნებლობა სავსებით ეწინააღმდეგება ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელიც ძველთა ძველია, რომელიც დღესაც არსებობს და არის ერთად ერთი თავდაცვის საშუალება მოსკოვის კოლონიალურ-გენოსიდური საქმიანობის წინააღმდეგ.

ჩერქეზების და ჩაჩან-ინგუშების მსხვერპლზე და უბედობაზე, რასაკვირველია „ალავერდის" პროპაგანდაში არაფერია ნათქვამი!

ჩვენის აზრით, სათქმელი სწორეთ ეს იყო, რადგან მათ სრული უფლება აქვთ მოითხოვონ დამპყრობელის მიერ მითვისებული მშობლიური მიწა და სწორედ იქ აღიდგინონ დანგრეული კერა.

განა ებრაელები არ დაბრუნდნენ პალესტინაში? სომხობაც, თავის დროზე მოითხოვდა დაკარგულ მამა-პაპეულ მიწების დაბრუნებას და ამას თავისი წონა ჰქონდა საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობაში.

თავისთავად ცხადია, შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რომელი ეშმაკური ხელი შეიძლება იყოს ჩარეული „ალავერდის" უსწავლელ პროპაგანდაში.

საერთოდ ყველა კავკასიელისათვის მეტად საზარალოა, რომ „ალავერდის" ჩვეულებრივად ლამაზ საღამოს ამ წელს მიეცა საეჭვო გემოვნების და საეჭვი გავლენის ემიგრანტული პოლიტიკანობის ელფერი.

გ. ჯაყელი.

---

—დოროთე შე გასაბაწრავო!
—რა გინდა ფალიაშვილო!
—დაგიდგა თვალი...რაში გამომადგება ფალიაშვილობა, ცხენებს ბალეტში ხომ ვერ გამოვიყვან?
—მაშ შენ გამოგიყვანენ!
—რას გამომიყვანენ?
—წირვას!
—წირვა გამოყვანილი არა ვართ, მეტი რა წირვის გამოყვანა გვინდა!
—დოროთე შე ჯიბიდან გავარდნილო!
—ვიაროთ სადმე?
—რა გინდა?
—სად?
—არა, აწი შევისვენოთ უნდა!
—ვერ ხედავ?
—რას?
—მესამე რაიხი რომ წაიქცა?
—ჰო!
—ჩვენც წავიქეცით!
—რატომ?
—ხარი დაჰკლეს!
—თხა წააკლეს!
—მაშ თხა ვყოფილვართ შე გასაბაწრავო!
—ჰო, ურქო თხა
—ჰო!

ჰოდა ალპების მთის კალთებთან უკანასკნელად შეიბრძოლა მან და სული დალაფა. უზარმაზარ არწივს ფრთები დააჭრეს, მისი ბუმბული ქარ-ბორიოს გაატანეს, ქარმაც უგზოუკვლოდ მიმოფანტა იგი და ჩონჩხი კი გამარჯვებულებმა დაინაწილეს...ყველაზე დიდი ბარკალი საბჭოთა ქვეყანას ერგო და მოირგო კარგად. ჩონჩხი უფრო დაჩონჩხა და დაჩონჩხილი ჩონჩხის გადანაშთების გაზიდვას შეუდგა.. მიაქვს ყვალაფერი, ბუმბული და ჩონჩხი, კარი და კარიბჭე, მიწას ნიანდაგი ააცალა, რაც უშენებია შრომის მოყვარე გერმანელს დაშალა და ეზიდება, ეზიდება დაუსრულებლად. მიჰყავს ყველაფერი, ადამიანი და ცხოველი, ამ ნადავლით ხარობს...ნადავლით ვინ არ ხარობს, მაგრამ მას კიდევ ბევრი აქვს გასაზიდი გერმანიიდან...სხვებს მოაქვთ...მას მიაქვს...ამერიკამ ომი გაათავა, ეხლა თავის ზონას არ ივიწყებს...მას მოაქვს ხორბალი და ლობიო, შაქარი და თაფლი...ჯერჯერობით ცოტა, მაგრამ მოაქვს, ხომ არ მიაქვს და რაგდან მოაქვს, მოიტანს კიდეც...

ონავარი კი არ ისვენებს, როდი სჯერდება რაც გაიტანა და გააქვს, ამ ხახამშრალ ონავარს ტყვიდჩავარდნილების გადასანსვლა სწადია და სანსლავს კიდეც თუ იხელთა...იხელთა კი ბევრი და სანსლავს, სანსლავს გამუდმებით, უმოწყალოდ, არ თაკილობს არც ძვალსა და რბილს, ყველაფერი უნდა, რადგან უძღებია...და უძღებს რა გააძღებს?

ეს ბანჯგვლიანი ონავარი დალმეჭილი თითებით ათამაშებს ცრემლიან ქნარს და ირგვლივ სევდის ტალღებს აგროვებს...იგი შავს ნაბადში გახვეული დაეძებს ომგადახდილებს, რომ აუწიოკოს ისედაც აწიოკებული სული... ის კვლავ უკრავს სიმწრის მელოდიას წყეული თითებით და დაძვრება კერიდან ძალით მოგლეჯილ ადამიანთა სულის ასაფორიაქებლად. ამ ონავარის მიერ დანთებული ცეცხლის სრბოლი ედება ცოდვილ დედამიწას და ისედაც დამძიმებულ დედამიწას ჰხვევს სევდის სამოსელში...

ბევრი იარა თუ ცოტა იარა ლამის მთელი ქვეყანა შემოიარა...და რად იარა, რისთვის იარა, არც არავისათვის უკითხავს და არც არავინ დაჰკითხებია მას...იარა კი ბევრი იარა...!

მინდია ლაშაური.

---

## ქართულ ემიგრაციაში.

### ნიუ-იორკი.

კვირას, ა. წ. მარტის 4-ს, ნიუ-იორკის ბერძენ მართლმადიდებელ საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა სამშობლოს თავისუფლებისთვის შეუპოვარი მებრძოლის დავით ვაჩნაძეს სულის მოსახსენებელი პანაშვიდი.

მლოცველებით სავსე დიდი ტაძრის მოძღვარმა წირვის დროს წარმოთქმულ ქადაგებაში განსაკუთრებით აღნიშნა უძველესი ქრისტიანული ქვეყანა საქართველოს—საუკუნეების გასწვრივ—თავისუფლებისთვის და სარწმუნოებისთვის მუდმივი ბრძოლა. ქართველი ერი—სთქვა მან—დღესაც განაგრძობს უსწორო ბრძოლას ეროვნული თავისუფლების და ურწმუნოთა მიერ ფეხ-ქვეშ გათელილ წმინდა ეკლესიის აღსადგენათო.

ქართველების თანაგრძნობის ნიშნად მრავალრიცხოვანი მლოცველები უკლებლივ დარჩნენ პანაშვიდზე.

იმავე დღეს, იმავე ტაძრის ქვედა დარბაზში ინჟ. ს. გაბუნიას თავმჯდომარეობით გაიხსნა სამოქალაქო პანაშვიდი. სიტყვები წარმოსთქვეს: ბ.ბ. ვ. გლაზკოვმა, ნ. გევორქიანმა, ალ. ჯინჭარაძემ, ინჟ. ვ. კობახიძემ, დ. სინდიკელმა და ინჟ. ირ. მენთეშაშვილმა წაიკითხა არგენტინიდან ბ-ნ აკ. პაპავას მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელსაც მკითხველი „ქართული აზრი"-ს ამავე ნომერში გაეცნობა.

დამსწრე.

### ბუენოს აირესი.

კვირას მარტის 18-ი, იმ დღეს, როცა ცხარე ბრძოლების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ჯარმა შესწყვიტა ბრძოლა და ჩვენმა მთავრობამ დასტოვა სამშობლოს ტერიტორია მოხდა სამი სხვა და სხვა სადგურიდან გადაცემა: თუ რა და როგორ მოხდა ამ 41 წლის წინ საქართველოში.

იმავ დღეს ბუენოს აირესში არსებულ უკრაინელების ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი 26 მაისის საქართველოსთვის აღსრულებულთა მოსახსენებლად.

აქვე იქმნა გადახდილი პანაშვიდი განსვენებული დათა ვაჩნაძეს სულის მოსახსენებლად.

ქართველების გარდა დაესწრნენ უცხოელებიც.

### ლონდონი.

1962 წლის დეკემბრის 16-ს შესდგა ქართული სათვისტომოს წლიური კრება.

არჩეულ იქმნა სათვისტომოს ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა პოლკ. ალ. ყიფიანი, მდივნათ ჟ. ფაშალიშვილი და გამგეობის წევრათ კაპ. გ. ჯავახიშვილი.

სარევიზიო კომისია: მაიორი ბ. ქუთათელაძე და კაპ. ირ. კიკნაძე.

საზოგადოების სახელწოდებაა:

The Georgian Society in England

მისი მისამართია:

61, Sinclair Road, London
W. 14. England.

---

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გასული იანვრის 23-ს მიუნხენში (დას. გერმანია) გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

**დათა ვაჩნაძე**

**„ქართული აზრი"-ს რედაქცია თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, მეგობრებს და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საზღვარგარეთელ ორგანიზაციებს, რომლის მხნე და ნაყოფიერი მეთაურთაგანი განსვენებულიც იყო.**

---

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გასული იანვრის 27-ს გარდაიცვალა

**ნინო დადიანი-ყაზბეგისა**

„ქართული აზრი"-ს რედაქცია თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და მეგობრებს.

---

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**

*Mr. G. Djakeli*
*561 W. 141 St., N. Y. C.*

**ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.*
*EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.*